



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

მოსახლეობის უფლებები უნდა იყოს დაცული



16/06/2011 11:1

გასულ ხუთშაბათს ოზურგეთში საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური იმყოფებოდა, რომელმაც ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კლუბის დარბაზში შეკრებულ გურიის სამივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და სოფლებისა და დაბების რწმუნებულებს გააცნო სატყეო სისტემაში მიმდინარე რეფორმები, მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველსაყოფად.

ალექსანდრე ხეთაგურის თქმით, მოსახლეობამ გამარტივებული წესით უნდა მოიპოვოს საშუალება მერქანი და საჭიროების შემთხვევაში სახლის ასაშენებლად ან შესაკეთებლად საჭირო რაოდენობის მასალა უნდა მოიპოვოს, ოღონდ მისი გაყიდვის უფლება არ ექნება.

ორთავე შემთხვევაში პროცედურა გამარტივებულია. მოსახლე მიდის ბანკში და იხდის შესაბამის მოსაკრებელს, შემდეგ გამოყოფილ ტყეკაფში ამზადებს შესაბამის რაოდენობის შემას, რომლის რაოდენობას ამოწმებს რეინჯერი. სამასალე მორის დამზადების შემთხვევაშიც ანალოგიურად ხდება. რეინჯერი დამზადებულ სამასალე მორს სპეციალურ ნიშანს ადებს, რომლის დახვევა სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ სახერხშია შესაძლებელი.

შემის, მასალის დამზადება რეალიზაციის მიზნით რეგისტრირებულ ინდემწარმებებს, შპს, კომპანიებს და კომერციულ სტრუქტურებს შეეძლება. ისინი შეშის, ან მასალის დამზადების შემდეგ მიდიან სააგენტოში, მაქვთ შესაბამისი დოკუმენტი, იღებენ ანგარიშ-ფაქტურას და ყიდიან შეშის ან მასალას. კიდევ უფრო გამარტივებულია საკარმიდამო ნაკვეთებში ხე-ტყის მოჭრის საქმე. ბუნებრივია, ყოველივე ეს კანონის ჩარშოში უნდა ხდებოდეს.

ბოდეს. ტყეების მოიჯარეებზე გადაცემა ოქტომბერში აუქციონზე იგეგმება. ნულოვანი აუქციონით მოიჯარეები 49-წლიანი ვადით მიიღებენ ცალკეულ ტყის ფართობებს. მათ აღებულ ვალდებულებებში ექნებათ, რომ უნდა გამოიყონ ტყეკაფები მოსახლეობისათვის შეშის და სამერქნე მასალის დასამზადებლად და მოსახლეობას ხელი არ უნდა შეუშალოს ტყის კენკროვანის და ფიჩხის მოპოვებაში.

შეხვედრაზე დასმული იყო საკითხები თუ რა ბედი ელოდება ქარსაფარ ზოლებს და ა.შ. რაზეც ერთი ყველაზე ლოგიკური მინიშნება მოვისმინეთ. მოიჯარე, რომელიც მოჭრის ერთ ხეს, სამი სრულფასოვანი ნერგი უნდა დარგოს. მთავარი ამ თემაზე სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კონტროლის მექანიზმი იქნება.

შეხვედრის მეორე ნაწილი „ენერგობროჯორჯიას“ წარმომადგენლებს დაეთმო. ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ნემსაძემ და ენერგოკომპანიის აჭარა-გურიის სამსახურის უფროსმა დავით ჟღენტამ შეკრებილთა გაცნეს გამრიცხველიანების მდგომარეობა რეგიონში. გურიის რეგიონში 46800 აბონენტიდან უკვე გამრიცხველიანებულია 16100 აბონენტი. დაიდა 15 ახალი ტრანსფორმატორი. ენერგოკომპანიის 358 თანამშრომლის საშუალო ხელფასი 570 ლარს შეადგენს. წელს 9270 აბონენტი გამრიცხველიანდება; 2012 წელს—10625; 2013 წელს—8762; 2014 წელს კი 778.

ენერგოკომპანია კურორტ ბახმაროზე ენერგომომარაგების მოწესრიგებასაც გეგმავს.

სიმიონის მოსავლის რაოდენობის ზრდას ელოდებიან



17/06/2011 13:1

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე მამუკაძემ მერიის აპროდრომის ყოფილ ტერიტორიაზე ახლადათვისებულ სიმიონის ნათესი ფართობების სანახავად მიიწვია.

გვ-2

უფლის წინაშე ყველა თანასწორია

ნინო ნიკოლაიშვილი

14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს ოზურგეთის რეაბილიტაციის ცენტრში კვლავ მოეწყო საინტერესო ღონისძიება. ერთობლივ კონცერტში მონაწილეობდნენ ცენტრის უკვე ცნობილი წევრები და წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის ხალხურ საკრავთა ანსამბლი „კრიალოსანი“ (ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე), მოცეკვვე გოგონები.



14/06/2011 17:14

ღონისძიების მომხიბვლელმა წამყვანმა თამუნა ბარამიძემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში გვერდით უდგას რეაბილიტაციის ცენტრს. აღნიშნა, რომ ყოველ დროსა და ეპოქაში არსებობდა ურთიერთობები საზოგადოებასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა შორის. და რომ ეს ურთიერთობები ურთიერთპატივისცემისა და თანადგომის გამოხატვლი უნდა იყოს.

— უფლისთვის არანაირი შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი არ არსებობს. მის წინაშე ყველა თანასწორია. დალოცა და აკურთხა ღონისძიების მონაწილეები და დარბაზში მსხდომნი მამა მათემ (გორდელაძე). გულითადი ღმერთი სცენაზე და ასევე გულითადი მოწონების საპასუხო ოცნებები დარბაზიდან, ერთმანეთს შეერწყა. კიდევ ერთხელ გაახმოვანა თამუნა ლურსმანაშვილმა მილოცვა და მგობობება ახალი ცხოვრებისკენ საგალი გზა დაულოცეს ნათი ხელაძეს.

საკრებულოს სხდომაზე გაცხადებული სიახლე უსახლკარო ოჯახებს შეეხებოდა

მარი კოპოიანი

გასულ კვირას, სამშაბათს ჩატარებულ საკრებულოს სხდომას დებუტატების დიდი ნაწილი საპატიო თუ არასაპატიო მიზეზებით არ ესწრებოდა. თუმცა მცირედი დისკუსიის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული თერთმეტევი საკითხი განსახილველად დაამტკიცეს. „თავისუფალი დემოკრატიის“ გურიისა და ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკრებულოს დებუტატმა თემურ სალუქვაძემ კოლეგებს სთხოვა ფეხზე წამომდგარიყვნენ იმ ადამიანთა ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც 26 მაისის მოვლენებში შეიწირეს. მცირედი შეყოვნების შემდეგ დებუტატები ფეხზე წამოდგნენ. გამოხილულმა ჩვენთან საუბარში კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პარტიის პოზიცია — გამოძიებული იქნას 26 მაისის მოვლენები და შესაბამისად პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ მხარეებს, რომელთა არასწორმა ქმედებამ ადამიანთა სიცოცხლე შეიწირეს. მანვე გააკეთა განცხადება ოზურგეთის საავადმყოფოში რეანიმაციული განყოფილების ტექნიკური გაუმართაობის შესახებ. აღნიშნა, რომ გვეყვს შესანიშნავი ექიმები, მაგრამ შესაბამისი აპარატურის არქონის გამო ხშირად ადამიანთა სიცოცხლეა საფრთხეში.

კითხვები დაუსვეს კონკრეტული საკითხების ირგვლივ გამოსულ მომხსენებლებს. მაგალითად აი.პ. კომუნალური მომსახურების ცენტრის“ დირექტორს თემურ ქინქლაძეს. — ივებება თუ არა მათთან

ახალი ქვედანაყოფის შექმნა. მისი თქმით, შეიქმნება ახალი განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს სანიღვრე არხების გაწმენდა შეკეთებას. რაზედაც საკრებულოს ოპოზიციონერ დებუტატ ლელა ნაცვალაძეს გაუჩნდა კითხვა. — ზომ არ არის მცდელობა შტატების ხელოვნურად გაზრდისა.

სხდომაზე კიდევ ერთ აი.პ.-ზე „სკოლაშვილ სააღმწარდებლო საგანმანათლებლო ცენტრზე“ ისაუბრეს. ეს იყო ერთადერთი საკითხი, რაზედაც მმართველ და ოპოზიციურ პარტიას ერთი და იგივე პოზიცია ჰქონდა. აღნიშნეს, რომ ამ ცენტრის შექმნის შედეგად ამ სფეროში მღვდმარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

სიახლე, რომელიც საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლის, ნათი ვაშალიძის მიერ გახმოვანდა, ისაა, რომ უსახლკარო ოჯახებს ამირიდან ფულად თანხას ხელზე არ გადასცემენ. მათთვის გამოყოფილი თანხით მოხდება საცხოვრებელი ფართის შექმნა, რომელსაც საკუთრებაში გადასცემენ უსახლკარო ოჯახებს. ამის მიზეზად დასახელდა ის, რომ, ხშირად შეჭირვებული ოჯახები გამოყოფილ თანხას სხვა, ყოველდღიურ საჭიროებაში ხარჯავენ და სახლის შექმნას ვეღარ ახერხებენ. ვაშალიძის თქმით, ეს საქმე თანხის არამიზნობრივად ხარჯვის თავიდან აცილებას ემსახურება.

ფესტივალი მესტიაში



რეგიონიდან.

ამ ფესტივალის ჩატარების მიზანი გახლდათ ტურიზმის განვითარება და სვანეთის პოპულარიზაცია — ტრადიციების აღდგენა.

ოზურგეთის კულტურის ცენტრიდან ამ ფესტივალზე მიწვეული იყო სიმღერის ანსამბლი „მუსამბაზი“. ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მასპინძლებმა „მუსამბაზის“

მიმართ დიდი სიმბათია გამოხატეს და აღნიშნეს, როგორც საპატიო სტუმრები, ანსამბლი ყოველ წელს დაამშვენებს ჩატარებულ ფესტივალს.

დღეს, 20 ივნისს, ჯემბუხი ენდუას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა

„იმდენად მიყვარს ოგურბეთი, მგალ ვიყავი ეს წვალება ჩემი ქალაქისთვის ბალამებანა“

ნინო ნიკოლაიშვილი

ილენიც. „ფარიკაობა“ და „შეჯობრი“ ვიცეკვე-
ყოურის წევრი იყო ილიკო სუხიშვილი.

„თავისი შემოქმედებითი საქმიანობით, ბატონმა ჯემბურ დუნდუამ მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიტანა ქართული ხალხის უნიკალური საუნჯის – მროვნული ქორეოგრაფიის აღორძინების, განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.“

თამაზ სუხიშვილი.

„ახალს არაფარს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ პიროვნების სიდიდემ და სიდიადემ, მის მიერ გაკეთებული საქმეებით იზომება... დიდად ვაფასებთ ყველაფერს, რასაც თქვენ ქმნიდით, ქმნით და კვლავაც შემხმით ქართული ქორეოგრაფიის საგანმანათლებლო“

რეზო ჭანიშვილი.

„ეს სიტყვები, სხვა ჩანაწერებთან ერთად, ამჟამად ხელმოწერის დამსახურებული მოღვაწის, ოგურბეთის ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორის, დარსების ორდენის კავალერის ბატონ ჯემბურ დუნდუას 2002 წელს გამოცემულ საიუბილეო ლიფლეტს. მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა და შესაბამისად გაიზარდა დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე.“



ნინო ნიკოლაიშვილი, ჯემბურ დუნდუა სუხიშვილის განხილვა ოგურბეთში. 1986 წ.

„ეს სიტყვები, სხვა ჩანაწერებთან ერთად, ამჟამად ხელმოწერის დამსახურებული მოღვაწის, ოგურბეთის ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორის, დარსების ორდენის კავალერის ბატონ ჯემბურ დუნდუას 2002 წელს გამოცემულ საიუბილეო ლიფლეტს. მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა და შესაბამისად გაიზარდა დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე.“

„ეს სიტყვები, სხვა ჩანაწერებთან ერთად, ამჟამად ხელმოწერის დამსახურებული მოღვაწის, ოგურბეთის ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორის, დარსების ორდენის კავალერის ბატონ ჯემბურ დუნდუას 2002 წელს გამოცემულ საიუბილეო ლიფლეტს. მას შემდეგ თითქმის ათი წელი გავიდა და შესაბამისად გაიზარდა დამსახურება ქართული ხელოვნების წინაშე.“



ჯემბურ დუნდუა მუხომბანა და შვილებთან ერთად

არ მოდის წარმატება უბრალოდ. უდიდესი შრომა სჭირდება ყოველ წინადადებულ ნაბიჯს. თავდაპირველად ბევრი ყოფილა დაპირებები, ბინასაც მოგცემთ, მანქანასაც. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩენილა. „მთელი ცხოვრება ქართული მაცხოვრებელი, ბევრი ვიწვალე, მაგრამ, იმდენად მიყვარს ოგურბეთი, მგალ ვიყავი ეს წვალება ჩემი ქალაქისთვის გადამეტანა და აქაური ახალგაზრდებისთვის გზა გაემხსნა ქორეოგრაფიული ხელოვნებისკენ. სამი წელი უნდა ასწავლო, სცენაზე რომ გამოიყვანო ბავშვი. ხოლო ათი წელი მინც სჭირდება კარგი მოცეკვავის გაზრდას. ვგრძობ, ამ საქმეში უფალი გვიდგას გვერდით. კაცობაზე დიდი ფული არავის მოუჭრია, ჩვენც ამ გრძობით ვეჭიდებით დიდ საქმეს და ვაკეთებთ კიდევ.“ მართლაც ბევრი მისი აღზრდილი არათუ ეზიარა ხელოვნების ამ დარგს, წარმატებითაც ცეკვავდა



ქონსერტის დროს. იზნაიში. 70-იანი წლები



ჯემბურ დუნდუა, ნაგოზი სანიქია, მამა იოსებ და მამა იოსებ

გაჭირვება გადავიტანეთ, ბევრი გულისტკივილი. მაგრამ, მალევე უფალს, შევძელით შევიღებთ ალგეზარდა და საქმეც ნელ-ნელა, მაგრამ მინც წინ წაგვეწია. სიყვარული თურმე ჰველაფერს გაგაძლიერებს და აგატანინებს.“

ორი შეიღებოდა ბენ ვაჭირვება და ქნ მაგულის. ნათია და კობა. ნათია საბავშვო ბაღში მუშაობს მასწავლებლად. კობა მამის კვალს გაჰყვა, ათი წელი იცეკვა ქართულ ნაციონალურ ბალეტში. ახლა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მუშაობს და ხელმძღვანელობს ანსამბლ „ზეკარს“. შეიღ-იშვლები, გიორგი და ვაჭირვებ დუნდუები, მიხეილ, ელენე და მარიამ ვინჭარაძეები კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევენ ბეოსა და ბაბუს. ცეკვას მათგან ვაჭირვები გაჰყვოლია მხოლოდ.

და ცეკვავს საქართველოს ნაციონალურ ბალეტში, (ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი უმცროსი); ქართული ხალხური ცეკვების აკადემიურ დამსახურებულ ანსამბლ „ერისიონში“ (ხელ-ლი ვეგელ ჭკუასელი, ქორეოგრაფი რეზო ჭონხელიძე); თბილისის, ბათუმის ქუთაისის სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამბლში. ოგურბეთში მოღვაწეობენ მელის ნადირიძე, ირმა სვანიძე, ეშვარ სანიქიძე, კიკალო ყალიჩავა, არჩილ გოგელია, ვალერი ჭუმბურიძე...

სტუდიაში ვარჯიშის დროს ვესტუმრეთ ბატონ ვაჭირვებს. აქ ვარჯიში ცოცხალი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს, რომელსაც რვაკაციანი ბენდი უკრავს. თავს არ ზოგავენ ახალგაზრდები ცეკვის დროს. ხან საკუთარ შესრულებას უყურებენ სარკეში, ხანაც მასწავლებლისკენ გააპარებენ თვალს და მის რეაქციას აკვირდებიან, მოაწონეს თუ არა თავი.

- ხომ არ დაიღალეთ, - ვკითხე.
- ხელოვნებას დაღლა სჭირდება.
- როგორი მასწავლებელი გვაყო, მკაცრი ხომ არ არის მეთქი, - ძალიან კარგი, ძალიან გვიყვარს, ცეკვა სიმკაცრის გარეშე შეუძლებელიაო, ერთმანეთს ასწრებდნენ გოგო-

პატივისცემითა და მადლიერებით საუბრობს ხელოვანი თეიმურაზ ქლიფთარის პიროვნებაზე, რომლის მხარდაჭერითაც, შესძლო ბევრი კარგი საქმის მოგვარება. საუბრობს ჟურნალისტის ეიფრ ქაღვიფილისა და მის მეგობრობაზე. რომელმაც არაერთი ლამაზი სტატია მიუძღვნა წარმატებულ ხელოვანს, მისთვის ჩვეული სიტყვაჰქვევრობით.

და მინც, მისი ყველაზე დიდი მეგობარი, მისი მეუღლე ქნი მაგული გავრინდაშვილი გახლავთ. კონსერვატორია დაუმთავრებია მას ლოტბარ-დირიჟორის სპეციალობით.

„იმდენად დაკავებული ვიყავი, მაგულიმ თავისი საქმისათვის ვეღარ მოიცალა და მთელი ცხოვრება შევიღებს და მე მომიძღვნა. თუ რაიმე წარმატებას მივაღწიე, ყველაფერი მისი ბრალია“, ამბობს ღმიძლით.



ჯემბურ დუნდუა და ჭარანაიში ქნიქა ქაღვიფილი

ქნი მაგული თვლის, რომ ხელოვანი მეუღლის გვერდით ყოფნა რთულიც არის მაგრამ ლამაზიც. მით უმეტეს, თუ ყველაფერი სიყვარულიდან მოდის.

„სახლში თავიდანვე მკითხეს, შევძლებდი იმ ტვირთის ზიდვას, რაც მე მელოდა. თუმცა ვთვლი, რომ ყველაფერი შევძელი. ჩვენი ცხოვრება შეიძლება გარედან ლამაზი და იაკარდებით მოფენილი ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. ჩვენთან რომ მოდიოდნენ, უკვირდათ, ასეთ პირობებში როგორ ცხოვრობთო. ბევრი

ბიჭები პასუსს.

- 12 წელია ვიცეკვავ ცეკვა ჩემთვის ყველაფერი - ვეითხრა ლამაზ ხურციძემ, რომლის ცეკვაში მართლაც სული და გულია ჩაღებული.

უყვრები ამ ახალგაზრდებს. სიცოცხლით სავეებს, ლაღებს და ხალისიანებს. აქ ეს სილაღეც გადამდებია, ეს სიხალისიც. აქ სხვაგვარი ყინია, სხვაგვარი დამოკიდებულება იმ საგანძურის მიმართ, რომელიც შენეულია და, შენი

ეთნოგრაფიული სულის მხატვარი



პარილს. მამა იყო ხის ხელოსანი გიორგი გიორგაძე. დედა გუგული ცინცაძე - აგრონომი. პირველი ნამუშევარი, როგორც მხატვარი გვიამბობს, იყო „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება. 1967 წ. დაამთავრა ერკეთის საშუალო სკოლა. 1968 წელს ბათუმის ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა მაგრამ მისი მოწოდება და მიზანი ხელოვნების სფერო გამოდგა და გადაწყვიტა თბილისში სამხატვრო სასწავლებელში მოესინჯა და მოსამზადებელზე ჩაირიცხა.

1971 წ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მოეწყო სამრეწველო გრაფიკის სპეციალობაზე (კათედრის გამგე ზურაბ ლეჟავა). პირველ კურსზე იყო, როცა შექმნა მცირე ზომის კომპოზიციები ლინოგრაფიაში „ტადართან“, „მონადირე“, ფარიკაობა, მემორი. ვ. ფშაველას ა. ქეთელაურის ილუსტრაცია და სიყვარულის თემაზე რამდენიმე ნამუშევარი, რომელმაც პედაგოგების დიდი მოწონება დაიმსახურა. 1976 წ. წარჩინებით დაამთავრა სამხატვრო აკადემია. მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო პლაკატების სერია: „შვიდეკაცა“, „თქმულებები და ბაღაღები“, „ოროველა“, სიმღერები საქართველოზე, „სიყვარული“. დიპლომის ხელმძღვანელი (ზურაბ ფორჩხიძე).

ბალავაძე, შვილები ხეიჩა და გიორგი. უმცროსი გიორგი დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე - სოფო ცინცაძე და სამი შვილი: ნინი, გვანცა და მარი, ელოდება მეოთხეს.

გამოფენაზე მოწვეული იყო ჩიხატაურის მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები, საფინანსო და კულტურის სამსახური, კორესპონდენტები, მხატვრები.

სიტყვით გამოვიდა ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი - სურათების გალერეის დირექტორი ა. თავართქილაძე, რომელმაც მხატვარს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ასე დაულაღვად იღვწის და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ასევე თბილი სიტყვებით გამოვიდა მხატვარი შპია კვინტრაძე.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ზაურ ოსუფაიშვილი მხატვარს შეპირდა სურათების ესთეტიური მხარის მოწესრიგებას, აგრეთვე მატერიალურ დახმარებას, რაც გამოხატება სექტემბრის თვიდან ხელფასის 100 ლარის მომატებით.

საბოლოო სიტყვით მხატვარმა იდი მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და ალუთქვა, რომ მომავალშიც გაახარებს ხელოვნების მესვეურებს თავისი შემოქმედებით.

თამაზ ღარჩია

საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირის გურიის რეგიონის განყოფილების თავმჯდომარე

შრომა ჩემთვის ბედნიერების ჭეშმარიტი წყაროა... უსაქმობა ჩემთვის ნამდვილი წამებაა.

ყოველ ვერსის სიტყვები მასხენდება, როდესაც ვეცნობთ ნამდვილი გურული კაცის შემოქმედებას.

8 ივნისს ჩონატაურის სამხატვრო სკოლაში გაიხსნა ამავე სკოლის სასწავლო ნაწილისა და პედაგოგის მხატვარ გიზო გიორგაძის პერსონალური გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 100 - მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. მხატვრის სულიერებაში წარმმართველი როლი დაიმკვიდრა ეროვნული თვითგამოსახვის ფორმათა ძიებამ, რომელიც ნათლად აისახა შემდგომი პერიოდის შემოქმედებაში, აღნიშნულ ძიებათა შედეგებმა თავის მხრივ განაპირობეს მისი თვითმყოფადობა.

გრაფიკოსი განსაკუთრებით საინტერესო რაკურსით გვიჩვენებს ადამიანის სხეულთა მოძრაობებს, მსხვილი კონტურული ხაზის საშუალებით პლასტიკური ხერხებით აღწევს ნახატის ენერგიულ ხასიათს.

გამოფენის ორგანიზატორები არიან მხატვართა კავშირის გურიის რეგიონის განყოფილების გამგეობის წევრები ჩონატაურის მხარეში სამხატვრო სკოლის დირექტორი შპია კვინტრაძე და ქეთევან კუკულავა. გამოფენა გახსნა ქეთევან კუკულავამ და ილაპარაკა მხატვრის დამსახურებაზე.

გიზო გიორგაძე დაიბადა ჩონატაურში სოფ. ერკეთში 1950 წლის 1

მღვდელი თეოდორე - საკუთარი სულის ძარბაღი მეგზური

21 ივნისი - მოამბე თევდორე მღვდლის (კველთელის) ხსენების დღე

მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში „სისხლის წვიმების“ ეპოქად არის ცნობილი; შაჰ-აბას პირველის მსხვერპლად დაჯიქვით და დავრჩით მხოლოდ ღმერთს მინდობილი. ერთ წელიწადს მტერმა მთელი კახეთი აიკლო და 80 000 კაცი გადაასახლა ირანში. 1609 წელს კი თურქ-ოსმალთა „მელიტაონების“ 60 000-იანმა ლაშქარმა კვლავ ამოგვიღო მიზანი. თავდასხმა გადაწყვიტეს ქართლის მეფე ლუარსაბ II-ზე და ასაღებდ მტერმა დაგეგმა ცხირეთი. თრიალეთის გზით მანგლისი, კველთა რომ გადაწვეს



მაშინ მათ იპოვეს აქ მღვდელი ერთი. თევდორე მღვდელს გახიზნა ვერ მოეხსრო, რადგან ეკლესიის განძს ადგილს უცვლიდა. სწორედ მას უბრძანეს მეგზურობა და აგრძნობინეს, რომ უარის თქმას წამება შეცვლიდა. ორი ღღის სიცოცხლისათვის - იფიქრა; ქვეყანა გავიმეტო, ღალატი რა საკადრისია?! მეფეს მოკლავენ, ქართლს გადაწვავენ და სისრულეში მოიყვანა გზის არევის გეგმა თავისია.

- ეს რა სოფელია? ჰკითხეს ურჯულოთ კარგა დიდი მანძილის გავლის შემდეგ.

- ქვენადარა, - მშვიდად უპასუხა თევდორემ თურქებიც მიუხედავად, გვატყვილებსო - ეგ-მივარდნენ კველთელ მღვდელს ცოფის ყრით, იტყვი თუ არა, გაიურო, მეფე სად არისო?

- სამშვიდობოს, ურჯულნო! თქვენ კი წინ დღე გელოდებათ ავდრისო.

... წამოგაქციეს, დაიღვწეს მთელი სხეული, ხანგაჯღლებით აკრუწეს მამაო - თევდორე, თურმე მტერს ლოცვა არ მოეწონა - ბოლო წუთამდე რომ იმეორე... და მაშინ, როცა მოწამის სისხლით იფლეთებოდა მიწა ქართული, ქართველებმა დრო მოიგეს და ტამისკართან ბრძოლაშიც უცბად აღმოჩნდნენ ჩართული. 10 ათასმა მომარმა გიორგი სააკაძის და ზაზა ციციშვილის სარდლობით, ისე სძლია ნ-ჯერ მეტ ოსმალოს, რომ ამ სასტიკ მარცხს მტრის ისტორია ვერ დაემალოს. მამა თევდორეს წმინდა სხეული მაშინ თბილისის დამცველი შეიქნა ფარი, შაჰ-აბასმა ლუარსაბ მეფეს დაუბრუნა თბილისი და გაუღო ციხესიმაგრის კარი. ლომის წილი კი ადამიანთა გადარჩენისთვის მოდის წმინდანის თავგანწირვაზე

... და 4 საუკუნის მერც ისე ბრწყინავს მისი ვარსკვლავი, სულსაც კი გვიტოვებს მისულებს წირვაზე. წმინდა თევდორე ხატზე ჯვრით არის გამოსახული, წამების დროსაც ვერ წაართვეს ჯვარი ღვთიური, რადგან ჯვრის ძალამ გახადა იგი საკუთარი სულის მეგზური.

წიგნი შეგარდნაჲმ

რეზო ბილისოძე

ოზურგეთის სანეაბლადგურში არაერთი ღირსეული ექიმი, ექთანი და სხვა სამედიცინო პერსონალი მუშაობდა. მათ რიგებს ამშვენებდა რეზო ვასილის ძე ბილისოძე, რომელიც ჯერ ეპიდსაგურში, შემდეგ ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში 41 წლის მანძილზე მუშაობდა დეზინფექტორად.

ის, რომ დღეს გურიაში მნიშვნელოვნად შემცირდა მალარიით და სხვა დაავადებების შემთხვევები, ამაში უფროს კოლეგებთან ერთად თავისი წვლილი ბატონ რეზოს მიუძღვის.

ბატონი რეზო იყო სიმელო მეგობარი, ყურადღებიანი და დაუხარული, შინაგანად მოწესრიგებული პიროვნება. იგი იმითაც გამოირჩეოდა, რომ ღამისათვის ალზარდა. შვილიშვილებიც აგრძელებენ ოჯახის ტრადიციებს.

მეგობრები მის გვერდით სიმშვიდეს ვერძნობდით. იგი არასდროს გვესაუბრებოდა საკუთარ ტკივილებზე, ნაადრევად ჩაიფერფლა მისი სიცოცხლე, მაგრამ დავეტირვა ღამისათვის მოგონებები, რომელიც ძვირფასია ჩვენთვის.

მისი მოგონება მარად დარჩება მისი კოლეგების გულში.

ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის კოლეგები

ნიკა კარტავეცი ევროპის ჩემპიონატისათვის ემგაღება

ოზურგეთელი მძლეონები არ დალატობენ ძველ ტრადიციებს და კვლავ ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ. ახლახან საქართველოს პირველობაზე მძლეონობაში 1992-1994 წლებში დაბადებულ ჭაბუკებში, II ლიგის 12 გუნდს შორის პირველი ადგილი დაიკავეს. შოთიკო ზოიძემ სამმაგ ხტომაში (12,85 მეტრი) II შედეგი აჩვენა, ხოლო 200 მეტრ სირბილში (24,00 წმ.) III ადგილი.

-რაც შეეხება საქართველოს ნაკრების წევრს

ოზურგეთელ ნიკა კარტავეცეს, იგი ამჟამად ევროპის პირველობისათვის ემზადება, რომელიც ისლანდიის დედაქალაქში, რეიკიავიკში გაიმართება. იგი საქართველოს ნაკრებში ამანათბუნში 4X400 გამოვა. ამის შემდეგ ნიკას მსოფლიო პირველობაზე გამოსვლა ელოდება საფრანგეთში. ამ გამოსვლებზე და მოქმედებული მისი მონაწილეობა 2012 წლის ოლიმპიადამ. გვიხიზრა ოზურგეთის მძლეონათა მწვრთნელმა მარინა კოტრიკაძემ

ვახტანგ ბალავაძის და ბივი კარტოზიას სახელობის ტურნირებზე

9 - 12 ივნისს ქ. თბილისში ჩატარდა ვახტანგ ბალავაძისა და ბივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილები, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები მანუჩარ კვიციანი - 74 კგ. (II ადგილი) და ჯემალ ხარაბაძე - 60 კგ. (III ადგილი); მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მსოფლიო თასის მფლობელი გურამ მაჭარაშვილი.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქ. №60-ში (ექაღია) იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი, მიწის ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ (890) 46 00 76; (890) 74 44 63 (იკითხეთ ქეთინო, ვენერა).